ოქმი:ო37. 37232903
თარიღი:17/10/2023

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნინო მახარაძის

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2023 წელი,11 ოქტომბერი
სოფ. გურიანთა
14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, სოფ. გურიანთის, მელექედურისა და სოფ. ოზურგეთის მერის წარმომადგენლები, კოლეგები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს.პატივი მიაგო უახლოეს პერიოდში სტიქიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას.დარჩიამ აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, განაცხადა, რომ ნინო მახარაძე არის საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, იგი რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა ნინო მახარაძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

ნინო მახარაძემ, როგორც სამი თემის მაჭორიტარმა დეპუტატმა ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე. აღნიშნა,რომ ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში დაიგო შიდა სასოფლო გზები, მოწესრიგდა სანიაღვრე არხები, გადაიხურა სტიქიისგან დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავები. ნ.მახარაძემ აღნიშნა, რომ სოფ. გურიანთა არის ის ზონა სადაც მეწყერმა დააზიანა საცხოვრებელი სახლები, ამ სახლების უმეტესობა საშიშია საცხოვრისად, რამაც მოითხოვა მოსახლეობის საშიშროების ზონიდან

გასახლება, მოსახლეობა გადაყვანილია სასტუმროებში რომელთაც გაეწია სასიცოცხლოდ საჭირო ნივთებითა და საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა.ეწყობა სტიქიისგან დაზიანებული გზების შეკეთება და აღდგენა. იგეგმება სკოლის რეაბილიტაცია სოფ.ოზურგეთში.

ნ.მახარაძემ ასევე ისაუბრა სამომავლო გეგმებზე.არის უბნები სადაც მოსსხლეობა ითხოვს სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობას.სასაფლაოს შეღობვას.უახლოეს დროში მოეწყობა, მომზადებული პროექტით სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფა.შიდა გზების მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა 10 კმ მანძილზე სოფ. ოზურგეთში

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ ნ. მახარაძე არის საკრებულოს აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთთანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად შეესაბამება რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის დ. დარჩიას წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი